პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

№ 125 (6180)

1978 წ. 28 ივნისი. ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადა

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღე ორ-ორი

მოხდა ისე, რომ თბილისის „დინამოს“ სტადიონის განახლებულ მძლეოსნურ ბაზებზე ჩვენი რესპუბლიკის კოლექტივებიდან პირველი შეჯიბრების ჩატარება მოსწავლეებს ხვდათ წილად. ჭაურ სარბენ ბილიკებსა და სექტორებზე სპორტსმენებს ადრე ასობით რეკორდი დაუმყარებიათ ან გაუმეორებიათ და აი, ახლაც, სამდღიან ტურნირში 6 რეკორდსმენი გამოვლინდა: ყოველდღე ორ-ორი.

კარგად ორგანიზებული შეჯიბრება კარგმა შედეგებმაც დაამშვენა, რეკორდების ანგარიში გახსნა ახმეტელმა ლ. წინწყალაშვილმა (მწვრთნელი გ. გოზალიშვილი), რომელიც თბილისის სკოლა-ინტერნატში სწავლობს. დღემდე წინწყალაშვილზე სწრაფად საქართველოში 800 მეტრი არც ერთ გოგონას, არც ერთ ქალს არ გაურბენია.

მერე გ. ჩადუნელმა (ა. ანტონოვი, თ. ბურიაკოვი) ჭაბუკთა შორის სიგრძეზე ხტომაში მიაღწია თანატოლთა სარეკორდო მაჩვენებელს, მეორე დღეს მ. ახარაშვილმა (გოზალიშვილი) გამოიჩინა თავი 200 მეტრზე სირბილში და ო. გერშინინამ (გ. მიროტაძე) — ხუთჭიდში.

ტურნირის დასკვნით დღეს მოზარდთა შორის რეკორდსმენები გახდნენ: სამხტომში — ა. ნერსესიანი (ა. ანტონოვი) და გოგონების 4X400 მეტრზე ესტაფეტაში — აფხაზეთის ნაკრები, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ლ. მიჩკოვა, ე. პალტარაკოვა, რ. ალტუხოვა და ე. გოლუტვინა.

რეკორდსმენების გარდა I თანრიგის შედეგები კიდევ შეიძლა მონაწილემ აჩვენა, ეს კი ცოტაა, რადგან მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში საპრიზო ადგილებს მხოლოდ ის ათლეტები მიიღებენ, რომლებიც ტაშკენტში სულ ცოტა, პირველი თანრიგის შედეგებს შეწვდებიან (ზოგიერთ სახეობაში სპორტის ოსტატობის კანდიდატის მაჩვენებელიც, შეიძლება საკმარისი არ იყოს).

ტაშკენტის სტარტამდე ორ თვეზე მეტია დარჩენილი, ცხადია, ჩვენი ნაკრების მწვრთნელები ამ დროს უქმად არ დაკარგავენ და მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადიდან, რომლის შედეგები სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ჩათვლაშიც შედის, ხელცარიელნი არ დაბრუნდებიან.

რესპუბლიკური ტურნირის მონაწილეებიდან რეკორდსმენების გარდა უნდა გამოვყოთ სპრინტერი გოგონები ო. ვიქტოროვა, თ. ახაჯანი, ლ. ქავორონკოვა, ბადროს მტყორცნელები მ. ქევანიშვილი და მ. ტეღუში, ე. საბანაძე, ურომ

მძლეოსნობა

მტყორცნელი ა. მწითური, ხუთჭიდელი ლ. შალიგინა და სხვები. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მოზარდთა ყველა შესაძლებლობა ჯერ კიდევ გამოვლენილი არ არის. მაგალითად, ქუთაისელი სიმაღლეზე მხტომელი ი. ჩოგოვაძე, რომელსაც საკმარი მონაცემები აქვს, სტაბილურად მხოლოდ 165 სმ-ს ძლევს, მაშინ, როცა მას უფრო მაღლა გადახტომაც არ უნდა უჭირდეს. ან ო. ვიქტოროვა ავიღოთ. თბილისში ამ გოგონამ 100 მეტრზე წინასწარ გარბენში გაცილებით მაღალ მაჩვენებელს (12,2) მიაღწია, ვიდრე ფინალში, სადაც ეს შედეგი 0,3 წამით გააუარესა.

სახარბიელოდ არ გვაქვს საქმე გოგონების ბირთვის კვრაში, ჭაბუკების შუბის ტყორცნაში. ჭოკით ხტომაში, 400 მეტრზე თარჯრბენში, 3 და 5 კილომეტრზე რბენაში, სპორტულ სიარულში. ჭოკით ხტომაში, მაგალითად, სამი მონაწილედან მხოლოდ ერთმა, თბილისელმა ა. ხალანმა შეძლო ბრძოლის დამთავრება.

დასანანია, რომ მოსწავლეთა წლევანდელი რესპუბლიკური სპარტაკიადის მძლეოსანთა შეჯიბრებაში სპხრეთ ოსეთის გუნდი ვერ ვიხილეთ: მან წინასწარ ტურნირში გამარჯვება ვერ მოახერხა, ამიტომაც გამოეთიშა ასპარეზობას. ოლქის მოსწავლეთა ნაკრების ეს მარცხი იქ მომუშავე სპეციალისტებს, კარგად არ ახასიათებთ, რაც საოლქო განათლების განყოფილებისა და სპორტკომიტეტის მსჯელობის საგნად უნდა გადაიქცეს.

ტექნიკური შედეგები. გოგონები. რბენა. 100 მ. ო. ვიქტოროვა — 12,5, თ. ახაჯანი (ორივე — აფხაზეთი) — 12,6, ი. კოსორუკოვა (თბილისი) — 12,7; **200 მ.** მ. ახარაშვილი (თბილისი, ინტერნატი) — 25,4 (რეკორდის გამორება), ლ. ქავორონკოვა (აჭარა) — 25,9, ტ. რევა — 26,2; **400 მ.** ე. გალუტვინა (ორივე — აფხაზეთი) — 59,3, შ. ონიაშვილი (თბილისი) — 59,5, ზ. გუჩმაზოვა (ცხინვალი, პირადი) — 59,9; **800 მ.** ლ. წინწყალაშვილი (ინტერნატი, პირადი) — 2.12,8, (საქართველოს აბსოლუტური რეკორდი), ნ. ჭაღიაშვილი (ახალციხე) — 2. 19,1, გ. აბგაიძე (აფხაზეთი) — 2. 25,9; **1500 მ.** ჭაღიაშვილი — 4. 49,8, ნ. ლარიონოვა (აფხაზეთი) — 4. 59,4, თ. ნარჩმანიშვილი (ახალციხე) — 5. 25,0; **ესტაფეტა 4X100 მ.** თბილისი — 50,3, აფხაზეთი — 50,4, აჭარა — 51,1; **4X400 მ.** აფხაზეთი — 4. 02,0 (გოგონების რესპუბლიკური რეკორდი), აჭარა — 4. 16,5, წყალტუბო — 4. 46,5. **100 მ. თარჯრბენი.** ი. დუმინა (თბილისი) — 16,0, მ. კოპაიჩუკი (რუსთავი) — 16,5, მ. გუგუშვილი (ქუთაისი) — 19,2. **ხტომა სიმაღლეზე.** ი. ჩოგოვაძე (ქუთაისი) — 165, მ. ქურდაძე (თბილისი) — 155, ი. კუპუხიძე (აჭარა) — 150; **სიგრძეზე.** ტ.

(დასასრული მე-2 გვ.)

• • •

სურათებზე: **ა. ნერსესიანის სარეკორდო ნახტომი; 1500 მეტრზე მორბენალი ჭაბუკები დისტანციაზე.**

ა. კოტორაშვილის ფოტოები.



ოსტატებო, სადა ხართ!?

ამ წერილის დაწერა ამას წინათ აკადემიურ ნიჩბოსნობაში გალში ჩატარებული საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატის საბალო მაჩვენებლებმა გადამაწყვეტინა. მაგრამ, ვიდრე თვით ამ ასპარეზობის შედეგებზე ვილაპარაკებდე, მინდა აღვნიშნო ის ღონისძიება, რაც საქართველოს სპორტკომიტეტმა ამ სახეობაში ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ გაატარა.

სსრკ ხალხთა V სპარტაკიადაში ჩვენმა ნიჩბოსნებმა გუნდური III ადგილი მოიპოვეს, ორი ჩემპიონი გვყავდა, ვ. კრატასიუკმა კი მერე ოლიმპიური ოქროს მედალიც მოიგო. ეს ჩვენი რესპუბლიკისთვის ცოტა როდი იყო. მაგრამ მოხდა ისე, რომ შემდეგ ოთხწლიან ციკლში შედეგების ზრდის ნაცვლად ტექნიკური მაჩვენებლების მკვეთრი დაქვეითება მოხდა და VI სპარტაკიადაში ერთბაშად ათი საფეხურით ჩამოვქვეითდით. შარშანდელ II საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში კი საქართველოს ნაკრები XIV ადგილზე აღმოჩნდა.

ცხადია, უკან დასახევი გზა აღარ იყო. მდგომარეობის გამოსწორებისათვის გადამჭრელი ღონისძიებების გატარება გახდა საჭირო და რესპუბლიკის სპორტკომიტეტის საწყლოსნო სახეობების განყოფილებამაც ჩამორჩენის მიზეზების კვლევა დაიწყო, ხოლო რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა ა. წ. 7 თებერვალს მიიღო საქმიანი, მიზანსწრაფული დადგენილება, რომელიც რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების ფიზკულტურის კომიტეტებს, სპორტსზოგადოებებსა და უწყებებს ავალებდა სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადამდე დარჩენილი დრო მაქსიმალურად გამოეყენებინათ ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში დაკარგული პოზიციების დასაბრუნებლად.

სპორტის აღნიშნულ სახეობაში ჩვენი ნიჩბოსნების მაჩვენებლების ასე დაქვეითება მრავალი მიზეზით იყო გამოწვეული. ეს მიზეზები რესპუბლიკური ფედერაციისთვის, აფხაზეთის, აჭარის, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, მცხეთის და სხვათა კომიტეტებისთვის, სპორტსზოგადოებათა და უწყებათა ხელმძღვანელობისთვის იმთავითვე ცნობილი იყო. სამწუხაროდ, არც მანამდე, არც საქართველოს სპორტკომიტეტის 7 თებერვლის დადგენილების მიღების შემდეგ მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის არავინ ცდილა, რაც ყველა წლევანდელმა სტარტმა, — ფოთში ჩატარებულმა რესპუბლიკური თასის გათამაშებამ და გალის ჩემპიონატმა დაადასტურეს.

სპორტული ბაზები ბევრგან კეთილმოუწყობელია, გვაკლია ინვენტარი, დაბალი გასღებით მწვრთნელთა შრომის ნაყოფიერება.

იმის მიუხედავად, რომ თბილისში მტკვარზე არსებული ცენტრალური და თბილისის ზღვის, მცხეთაში „განთიადის“ სანიჩბოსნო და ფოთის „ვოდნიკის“ ბაზები თანამედროვე მოთხოვნებს აკმაყოფილებენ, სათანადო მუშაობა არსად არ არის გაშლილი. თბილისის ცენტრალურ ბაზაზე 2-3 ჯგუფი თუ ვარჯიშობს, თბილისის ზღვის ბაზაზე მარტო უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლის ორი ჯგუფი და „შრომითი რეზერვები“ მუშაობს, მცხეთაში „განთიადის“ სანიჩბოსნო სადგურში ბაიდარებითა და კანოეებით მოვარჯიშე ჯგუფების შექმნაზე არავინ ფიქრობს, ფოთში ამ სახეობის წარმომადგენლები რაიონიდან გადაასახლეს კაპარჭინაზე, სადაც უველა აუცილებელი პირობა არ არის.

რესპუბლიკაში სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის საჭირო სხვა სანიჩბოსნოებიც გვაქვს. მაგალითად, თბილისის ზღვაზე არსებული „ბურეველესტნიკის“ ბაზაზე და ლისის ტბაზე ბაუშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის ჯგუფები მუშაობენ, მაგრამ არცერთს პირობები არ გააჩნია; რუსთავში „შრომითი რეზერვების“ სანიჩბოსნო სადგურის საექსპლუატაციოდ გადაცემას საშველი არ დაადგა, ჭალაქის პარკის ხის ძველი ნახევრად დანგრეული ნავმბაზა კი ვერ აუდის „დინამოს“, „განთიადის“, უმაღლესი სპორტული ოსტატობისა და მოზარდთა სკოლების ათობით ჯგუფის საქმიანობას; მცხეთაში ძალიან გაუხარდება ბიშთა და მოზარდთა სპეციალიზებული სპორტსკოლის მშენებლობის დაწყება, ამიტომაც მის 11 ჯგუფს ჯერ კიდევ არა აქვს საჭირო პირობები. ამავე ქალაქში რესპუბლიკური სანიჩბოსნო სადგური, რომელიც რამდენიმე წლის უკან წყალდიდობამ იმსხვერპლა, აღუდგენელია...

აჭედანვე ემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის

ქუთაისში „კოლმეურნის“ ბაზა მოუვლელია, მისი რეკონსტრუქციის დაჩქარებისთვის სათანადოდ თავს არც ამ საზოგადოების ცენტრალური საბჭო იწუხებს, არც ქალაქის ხელმძღვანელობა; მოთხოვნებს ვეღარც სოხუმში მდინარე ბესლეთზე არსებული „დინამოს“, „განთიადისა“ და სპორტსკოლის ბაზები აკმაყოფილებენ. ეს საზოგადოებები, სოხუმისა და აფხაზეთის სპორტკომიტეტები კი

(დასასრული მე-2 გვ.)

რეგბი

კვირას გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო ტურის შეხვედრები. მან საბოლოოდ გაარკვია ვინაობა იმ ექვსი კოლექტივისა, რომლებიც 2 ივლისიდან პირველ ოქტომბრამდე ერთმანეთში გაითამაშებენ სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონის სახელსა და დანარჩენ საპრიზო ადგილებს.

თუ კიევის „ავიატორმა“, მოსკოვის „სლავამ“ და „ფილმ“, მოსკოველმა და თბილისელმა რაინგზელებმა ვადამდე გაიანაღდეს ამ ექვსეულში ადგილები, კიევის „პოლიტეხნიკმა“ ეს საგზური 25 ივნისს შინ ქვეყნის შარშანდელ ჩემპიონზე, მოხინოს სსა-ზე გამარჯვებით (31:12) მიიღო.

ამ დღეს სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ავიატორი“ (კიევი) 0:9, „პრიმორეცი“ (ლენინგრადი) — „სლავა“ (მოსკოვი) 17:51.

გათამაშების ცხრილი

პირველი წრის შემდეგ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ავიატორი“	9	7	1	1	171—41	15
„ლოკომ. თ.“	9	6	1	2	146—88	13
„ლოკომ. მ.“	9	6	1	2	118—53	13
„სლავა“	9	6	0	3	177—97	12
„ფილი“	9	5	2	2	133—98	12
„პოლიტეხ.“	9	4	0	5	158—139	8
სსა	9	4	0	5	104—120	8
„პრიმორ.“	9	3	0	6	75—185	6
„ელვა“	9	1	1	7	51—164	3
„ავტომობ.“	9	0	0	9	40—190	0

პირველ-მეექვსე ადგილზე მყოფ გუნდებს ფინალში ეთვლებათ ერთმანეთს შორის აქამდე გამართული შეხვედრების შედეგები. ამრიგად, „ავიატორს“ 9 „ოქროს ქულა“ აქვს, თბილისის „ლოკომოტივს“ — 6, მოსკოვის რკინიგზელებს — 3, „სლავასა“ და „ფილის“ — 4-4, „პოლიტეხნიკს“ — 2. ეს გუნდები ერთმანეთში მიმოსვლით ორ წრედ ითამაშებენ.

რაც შეეხება დანარჩენ ოთხ კოლექტივს, ისინი პირველი ლიგის ქვეჯგუფებში გამარჯვებულ ელვაკას რაფ-თან, ჭუთაისის „სახლმშენთან“, კრასნოიარსკისა და ალმა-ათის „პოლიტეხნიკის“ გუნდებთან ერთად 2 ივლისიდან 8 ოქტომბრამდე გაითამაშებენ იმ ოთხ საგზურს, რომლებიც გაისად უმაღლეს ლიგაში ახპარეზობის უფლებას იძლევა.

ყოველდღე ორ-ორი

დასასრული

ტურეცკაია (თბილისი, ინტერნატი) — 532, ე. ლაპინა (მახარაძე) — 516, ჯ. ჩოფიკაშვილი (თბილისი, პირადი) — 512. **ტყორცნა. ბადრო.** მ. ქევანაშვილი — 43,30. მ. ტუღუში (ორივე — თბილისი) — 42,20, დ. ზაქაიძე (თბილისი, ინტერნატი) — 38,50; **შუბი.** გ. კასოევა — 44,20, ლ. გუშარაშვილი (ორივე — თბილისი) — 37,60. ც. მინდიკური (ინტერნატი, პირადი) — 23,50. **ბირთვის კვრა.** მ. ხურცია (წულუკიძე, ინტერნატი) — 11,86. ნ. სალაძე (თბილისი, პირადი) — 11,08, ჯ. ქილიფთარი (მახარაძე) — 10,95. **ხუთჭიდი.** ო. ვერშინინა (თბილისი) — 3515 ქულა (გოგონების რესპუბლიკური რეკორდი), ლ. შალიგინა (რუსთავი) — 3413, მ. მზეიძე (მახარაძე) — 2880.

ჯაბუკები. რბენა. 100 მ. ო. კასოევი (აფხაზეთი) — 11,2. ვ. თოფურიძე (თბილისი) — 11,2, ზ. ჭანიშვილი (მახარაძე, პირადი) — 11,3; **200 მ.** გ. ზილფოვი (აფხაზეთი) — 22,7, ვ. ლისკოვი (თბილისი) — 23,0. თ. ლინჩიკი (ქუთაისი) — 23,7; **400 მ.** გ. ქობულაძე (ქუთაისი) — 51,6. ს. სვეკროვკინი (აფხაზეთი) — 52,1. ა. დილენი (თბილისი) — 53,3; **800 მ.** ა. სოლოვიოვი (თბილისი) — 2.00,4. ზ. ლორთქიფანიძე (აჭარა) — 2.02,9. ი. დროგუნი (თბილისი, პირადი) — 2.03,6; **1500 მ.** ვ. მელქოევი (ცხინვალი, პირადი) — 4.14,2. ი. ფედოჯოვი (თბილისი) — 4.16,8, თ. ხომპიაშვილი (აჭარა) — 4.23,9; **3000 მ.** მ. ჟურავლიოვი (აფხაზეთი) — 9.18,0, ო. სტრიჟაკოვი — 9.20,5. დ. გვარამაძე (ორივე — თბილისი, პირადი) — 9.36,6; **5000 მ.** ვ. კოჩიევი (ცხინვალი, პირადი) — 16.51,1, ო. ფახიროვი (თბილისი, პირადი) — 18.04,4. ნ. კუხიანიძე (წყალტუბო) — 18.39,5; **2000 მ. წინაღობებით.** ი. ლევიტი (ახალციხე) — 6.24,5. ვ. ოლეჩნო (თბილისი) — 6.32,3. ი. მამედოვი (თბილისი, პირადი) — 6.50,8; **ესტაფეტა. 4X100 მ.** თბილისი — 43,7, მახარაძე — 46,3, ქუთაისი — 47,3; **4X400 მ.** აჭარა — 3.36,4, ქუთაისი — 3.43,1, წყალტუბო — 3.43,3. **თარჯიმანი. 110 მ.** ო. წიკლაური (ინტერნატი, პირადი) — 15,1, ს. მინჯულინი (თბილისი) — 15,3. დ. კალაძე (რუსთავი) — 15,4; **400 მ.** ს. ძიძიკაშვილი (თბილისი) — 1 წუთი, ა. კეთილაძე (ქუთაისი) — 1.00,6, რ. უშაკოვი (აჭარა) — 1.01,0. **10 კმ სპორტული სიარული.** ი. წარეთაშვილი (თბილისი, პირადი) — 52.10,4. ნ. ბობიკოვი (რუსთავი) — 52.40,0. მ. მალაზონია (აჭარა) — 53.14,0. **ხტომა სიგრძეზე.** გ. ჩადუნელი (თბილისი) — 711 (ჯაბუკთა რესპუბლიკური რეკორდი), გ. ზაუტაშვილი (გორი, პირადი) — 634, ა. ვავიანი (თბილისი, პირადი) — 632; **სიმაღლეზე.** ი. ბელსკი (თბილისი) — 180. ქ. კანდელაკი (თბილისი, ინტერნატი) — 175, შ. ბლიაძე (მახარაძე) — 175; **სამხტომი.** ა. ნერსესიანი (თბილისი) — 15 მ. (ჯაბუკთა რესპუბლიკური რეკორდი), ს. ახვლედიანი (თბილისი, პირადი) — 14,18, ს. კუშალავი (მახარაძე) — 13,82. **ტყორცნა. ბადრო.** ვ. საბანაძე (თბილისი, ინტერნატი) — 57,12, დ. ყარყარაშვილი (გარდაბანი) — 49,94. ა. ქორიძე (მახარაძე) — 47,56; **შუბი.** დ. ჩაჩხალია (აფხაზეთი) — 46 მ, ვ. გრიბი (აჭარა) — 42 მ. ღ. ყულუხოვი (ქარელი) — 37,70; **ურო.** ა. მწითური (გარდაბანი) — 60,74. ა. ბაირამოვი (თბილისი) — 57,94, ზ. ტალაკიშვილი (გარდაბანი) — 57,74. **ბირთვის კვრა.** დ. ლომჯარია (მახარაძე) — 15,30. კ. ფხოველიშვილი (თბილისი) — 14,28, ო. საყვარელიძე (ინტერნატი) — 13,28; **ათჭიდი.** თ. ქათამაძე (აჭარა) — 5546. კ. ყუსაშვილი (ქარელი) — 5521. კ. კიკვაძე (ქუთაისი) — 5467.

გუნდური: თბილისი — 20606 ქულა, აფხაზეთი — 16842, აჭარა — 12628, ქუთაისი — 11609, მახარაძე — 5942, ქარელი — 5521, რუსთავი — 4183, ახალციხე — 1979, გარდაბანი — 1652, წყალტუბო — 541, წულუკიძე — 536.



„ძნელი ბრძოლა მოგველის"

„ლოკომოტივის" საცურაო აუზში ხუთ დღეს გრძელდებოდა მოსწავლეთა XXX რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება წყალბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ქუთაისის, აფხაზეთის, აჭარის, თბილისის I და II (უფროსები) გუნდები, რომლებიც ორ ასაკობრივ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი.

კარგი შთაბეჭდილება დატოვეს თბილისელმა მოსწავლეებმა, რომლებმაც ორივე ასაკობრივ ჯგუფში ყველა შეხვედრა მოიგეს და ჩემპიონობაც მოიპოვეს. ორივე ასაკობრივ ჯგუფში მეორე იყო აჭარის, ხოლო მესამე — ქუთაისის გუნდი.

ასპარეზობის დამთავრების შემდეგ განათლების განყოფილების მთავარ მწვრთნელს წყალში ხტომასა და წყალბურთში, რესპუბლიკის დამსახურებულ მწვრთნელს ვ. ბარნაბიშვილს ვთხოვეთ გამოეთქვა აზრი მოსწავლეთა საკავშირო-სპარტაკიადის წინ ჩვენი წყალბურთელების მზადყოფნის შესახებ.

— ამ ეტაპზე გუნდების მომზადებით კმაყოფილი ვართ, თუმცა ჯერ კიდევ საკმაოდ ჩამოვრჩებით ჩვენი ქვეყნის უძლიერეს გუნდებს. სასიხარულოა, რომ ამ შეჯიბრებამ ზოგიერთი გუნდის ტაქტიკური დონის ზრდა გვიჩვენა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ თბილისელები. როგორც ცნობილია, უკანასკნელ წლებში ჭართველმა წყალბურთელებმა პოზიციები დათმეს. ამ ტრადიციების აღდგენა ჩვენი ამოცანაა, რადგან ჯერ კიდევ ბევრ რამეში გვიწევს ხელს (პირველ რიგში ბაზების ნაკლებობა). ძნელი ბრძოლა მოგვველს ტაშკენტშიც (წინა სპარტაკიადაზე XI ადგილი დავიკავეთ), სადაც ქვეჯგუფში ჩვენი მოწინააღმდეგეები იქნებიან უკრაინის, აზახეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის ძლიერი გუნდები. წინ კიდევ ორ თვეზე მეტი გვაქვს და ვეცდებით დრო უქმად არ დავკარგოთ. მანამდე კი ლვოვში, უკრაინის გუნდთან ერთობლივი შეკრება მოგველის, სადაც ჩვენი მოსწავლეები რამდენიმე შეხვედრას ჩაატარებენ იქაურ თანატოლებთან. ბერვისტოს შუა რიცხვებში საწვრთნელ შეკრებას ბათუმში ჩავატარებთ, მოსამზადებელი ეტაპის ბოლო ციკლს კი თბილისში გავივლით.

ბ. თათეიშვილი.

• • •

სურათზე: შეჯიბრების მოწვენტი.

ჯ. კასრაძის ფოტო.

ოსტატებო, სადა ხართ!?

ნიჭიერება

დასასრული

არ ფიქრობენ სხვაგან უკეთესი სავარჯიშო გაძონახონ; ბათუმში ბაიდარებითა და კანოეებით ვარჯიში „დინამოს" ბაზიდან პიონერთა პარკის ტბაზე გადაიტანეს, აქვე იწვრთნებიან „განთიადისა" და „ვოდნიკის" ნიჭიერები, რომლებსაც საერთო ძალით შესანიშნავი პირობების შექმნა შეუძლიათ, მაგრამ ელინგებიც კი არ უვარგათ...

უველა ამ ბაზებზე წყალზე სავარჯიშოდ გასულთა აღრიცხვას არავითარი უურადღება არ ექცევა, არც ის იციან სპორტსმენებიდან ცურვა ვინ იცის(?!), რესპუბლიკის არცერთ ბაზაზე არ არის ინვენტარის შემკეთებელი სახელოსნო და ოსტატი, ამიტომაც ნავების მნიშვნელოვანი ნაწილი მწყობრიდანაა გამოსული, სპორტსმენებს კი ინვენტარი აკლიათ.

იქნებ მხოლოდ ეს არის ჩვენი ნიჭიერობის დაქვეითების მიზეზი? რა თქმა უნდა, მარტო ეს არა! მთავარი მაინც საქმისადმი მწვრთნელების გულგრილი დამოკიდებულება და მათი საქმიანობისადმი სპორტსაზოგადოებებიდან, ფიზკულტურის კომიტეტებიდან სრული უკონტროლობა გახლავთ.

თუ საქართველოს სპორტკომიტეტში სპორტსაზოგადოებებიდან და უწყებებიდან წარმოდგენილ ცნობებს დავუჯერებთ, რესპუბლიკაში შექმნილ 87 ჯგუფში 1600-ზე მეტი კაცი ვარჯიშობს. მარტო განათლების სამინისტროს სისტემის 31 ჯგუფში 900 მომეცადინის სწავლებისთვის მწვრთნელები ყოველთვიურად 1600 მანეთზე მეტს იღებენ. „დინამო" 19 ჯგუფში გაერთიანებული 236 ნიჭიერის აღზრდისთვის 778 მანეთს ხარჯავს, „ვოდნიკი" — 714 მანეთს (185 ნიჭიერი ჰყავს). ასეა სხვა სპორტსაზოგადოებებშიც. სულ ყოველთვიურად ბაიდარებითა და კანოეებით ნიჭიერობის მწვრთნელები ხელფასის სახით 4 500 მანეთზე მეტს იღებენ (ამ თანხაში არ შედის სახსრები, რასაც უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლა მწვრთნელებს აძლევს), რისთვის, როცა ჩვენში სულ ერთი სპორტის დამსახურებული ოსტატი, 14 სპორტის ოსტატი, 34 სპორტის ოსტატობის კანდიდატი და 63 პირველთანრიგოსანია (არას ვამბობ 161 სხვა დაბალი თანრიგებისა სპორტსმენებზე), და ვერცერთი ამათგანი ოსტატობის შედეგებს ვეღარ აჩვენებს?

ჯგუფების საქმიანობისადმი, მწვრთნელთა უმოქმედობისადმი უკონტროლობის შედეგია, რომ საგარჯიშოდ სპორტსმენთა 50 პროცენტზე მეტი არ დადის, დაბალია მოსწავლეთა საექიმო კონტროლი. ჯგუფების დაკომპლექტებისას ფიზიკურად ძლიერი ახალგაზრდების შერჩევას კი არ ექცევა ყურადღება, არამედ მწვრთნელები სამეცადინოდ უველას იღებენ, ოღონდ ჯგუფები შეავსონ.

მწვრთნელების წლიური გეგმა-გრაფიკი ვერ პასუხობს მაღალი კლასის ნიჭიერების მომზადების მოთხოვნებს, ხშირ შემთხვევაში არა აქვთ თვიური ან კვირეული გეგმები (სოხუმელებს — ტურუკინს, მარგველაშვილს, ჩხეიძეს, ტოლკაჩოვას, ბათუმელებს — ვიშნიაკოვს, მახუროვს, ბერდიევს, შახნაზაროვს, რუსთაველებს — მერკატუნს, ლუცენკოს, წივწივაძეს, თბილისელებს — კოროტკინს, კარაბეინიკოვს, ვლასოვს, სილაგაძეს). ბევრი არ აწარმოებს ღიურს, მათი გაკვეთილების კონსპექტი არასრულფასოვანია და საწვრთნო პროცესის ნათელ სურათს არ იძლევა, მწვრთნელები დამწყებთა და სრულყოფის ჯგუფებს ერთად ავარჯიშებენ...

სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაზე ოქროს მედალოსნები ფოთელები ზ. ხოფერია და ნ. ჩარაევი გახდნენ, აჭაურია ოლიმპიური ჩემპიონი ვ. კრატასიუკი, ა. მატკავა და ნინო ლუცენკოც, რომელსაც ვერცხლის მედალი აქვს მოპოვებული.

ახლა, ეს ქალაქი, როგორც ბაიდარებითა და კანოეებით ნიჭიერობის აღზრდის საუკეთესო კერა, ხელიდან გვეცლება, ვინაიდან არცერთი მწვრთნელი (თ. ლაგვილავას გარდა, რომელიც ბავშვებთან მუშაობს) არაფერს აკეთებს. სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. ჭედია „ვოდნიკის" ბაზის დირექტორია და, ცხადია, რესპუბლიკაში ნიჭიერობის განვითარებისთვის ზრუნვაც ევალება. სამწუხაროდ, ხელრიანად ბაზასაც ვერ უვლის. საინტერესოა რატომ არ სრულდება სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს კოლეგიის, საკავშირო სპორტკომიტეტის, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების საკავშირო საბჭოსა და საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილება ამ ბაზის კაპიტალური რემონტის შესახებ. შეკეთებას კი იგი აუცილებლად საჭიროებს.

არც სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ა. მატკავას გარჯა გვაკმაყოფილებს. მას ათი წელია მაღალთანრიგოსანი სპორტსმენი არ მოუმზადებია. მის აღზრდილს ვ. კრატასიუკს კარგა ხანია რაიმე წარმატება არ მოუპოვებია, ხალხთა VI სპარტაკიადაში კი VIII ადგილს დასჯერდა, რის შემდეგ სარბიელზე აღარ გამოსულა. მართალია, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა კრატასიუკმა პირობა მოგვცა, რომ ჯგუფსაც გაუძღვებოდა და სპარტაკიადისთვისაც კარგად მოემზადებოდა, მაგრამ დაპირება როდი კმარა...

...ახლა ისევ გალში ჩატარებულ რესპუბლიკურ ჩემპიონატს დავუბრუნდეთ. სიონის წყალსაცავიდან ტურნირის იქ გადატანა იმით იყო ნაკარნახევი, რომ გალის ტასები გაზომილი და დამტკიცებულია და ოსტატის ნორმატივების შესრულების შემთხვევაში საუკეთესო არაფერი იქნებოდა. სამწუხაროდ, ოსტატისა კი არა, უერცერთმა მონაწილემ პირველი თანრიგის შედეგიც კი ვერ ჩვენა (?!), თუმცა შეჯიბრებაში რესპუბლიკის თითქმის უველა უძლიერესი ნიჭიბოსანი მონაწილეობდა.

ასპარეზობის დებულებით გუნდებს რომელიმე დისტანციაზე ჩასათვლელი ნორმატივის შეუსრულებლობისთვის „0" ეწერებოდათ, ნავის გამოუყენებლობისთვის კი 5 ქულით ჯარიმდებოდნენ. ტურნირში ვაუებმა 70 ნული მიიღეს და ოცდაექვსჯერ მინუს 5 ქულა დაიმსახურეს.

ერთადერთი თბილისის ნაკრები აღმოჩნდა უჯარიმოდ რომ გადარჩა და 27 ქულით I ადგილი დაიკავა. II ადგილზეა აფხაზეთის (17 ქულა), III — მცხეთის (11) კოლექტივები. აჭარის სპორტსმენებმა სულ 10 ქულა მოაგროვეს, მაგრამ 35 ქულით დაჯარიმდნენ და ტურნირი მინუს 25 ქულით დაამთავრეს, ქუთაისელებმა — მინუს 27-ით, რუსთავმა — მინუს 15-ით, ფოთმა ამ მხრივ უველას ჯობა — 38 საჯარიმო ქულა მიიღო და ბოლო ადგილზე აღმოჩნდა.

სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადამდე წელიწადია დარჩენილი. ეს არც ისე დიდი დროა, მაგრამ მდგომარეობის ერთგვარად გამოსწორება მაინც შეიძლება და ამაზე უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკურმა სკოლამ, სპორტსაზოგადოებების, უწყებების ხელმძღვანელებმა, ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებმა ადგილებზე დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ მწვრთნელების უდარდელობასა და უმოქმედობას, ბაზები მოაწესრიგონ, ინვენტარის ფონდი დროულად შეავსონ, შეაკეთონ. ერთი სიტყვით, უველა ღონე იხმაროს იმისთვის, რომ საგაისო სტარტებში ხალხთა VI სპარტაკიადის მაგალითი არ გამეორდეს.

პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, სახალხო დეპუტატების საბჭოებმა, სადაც ბაიდარებითა და კანოეებით ნიჭიბოსნობის განვითარების პირობებია, სპარტაკიადისთვის მზადებაში მეტი დახმარება და კონტროლი უნდა გაუწიონ თავიანთ ნიჭიბოსნებს, მათი მწვრთნელების საქმიანობას.

გ. ცქიტიშვილი,
საქართველოს სპორტკომიტეტის საწყალოსნო სახეობების განყოფილების უფროსი.

დიდი სხვაობით

დამთავრდა მახარაძის რაიონის პირველობა მშდ კომპლექსში მრავალჭიდში. ტურნირში ხუთი სპორტსაზოგადოების ასამდე ნიჭიერი მონაწილეობდა. პირველობა მოიპოვა „კოლმეურნემ", რომელმაც 618 ქულა მოაგროვა, მეორე სავრძნობლად ჩამოიტოვა „სპარტაკის" რაისაბჭოს ნაკრები. — 254 ქულა, მესამე ადგილზეა სპორტსკოლის გუნდი — 204.

ამ სამმა კოლექტივმა უველა სავეზრის ნიშნისანთა შეკრებებში მეძლო მონაწილეთა გამოყვანა, რასაც ვერ ვიტყვით „განთიადის" ადზე". განთიადელები მხოლოდ მეოთხე საფეხურის ნიშნოსანთა შეჯიბრებაში ჩაებნენ.

შეიქმნა რაიონის ნაკრები, რომელიც რესპუბლიკურ ტურნირში იასპარეზებს.

ო. კიშინაძე,
მახარაძის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

ფრენბურთი

ნესტორ ღლონტის სახელობის

სოფელ აკეთში ჩატარდა საქართველოს მეურნეობრივი შრომის თავლსაჩინოების მუშაკის, ფიზკულტურისა და სპორტის ენთუზიასტის ნესტორ ღლონტის სახელობის თასის გათამაშება ფრენბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს აკეთის, აცანის, მამათის, ჩიბათის, ლესის კოლმეურნეობებისა და ნიგოითის საჰოთა მეურნეობის ნაკრებმა გუნდებმა.

პირველ ადგილზე გამოვიდა აკეთის ფრენბურთელთა კოლექტივი, რომელსაც ნესტორ ღლონტის ხელობის თასი გადაეცა.

მეორე და მესამე ადგილებზე შესაბამისად ჩიბათისა და მამათის ფრენბურთელები გავიდნენ.

თ. ჭერქაძე,
ლანჩხუთის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

სურათზე: არგენტინის ნაკრების კაპიტანი პასარელა ფიფა-ს თასით.



სპეციალისტთა აზრი ჩემპიონატზე

ბუენოს-აირესი. მსოფლიოს განვლილ ჩემპიონატს არგენტინაში მრავალი სპეციალისტი და წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ესწრებოდა, რომლებიც სხვადასხვა რადიო და ტელეკომპანიების კომენტატორთა როლში გვევლინებოდნენ. საკადესის კორესპონდენტმა თხოვნით მიმართა ზოგიერთ მათგანს ეპასუხა 2 შეკითხვაზე:

1). რომელმა გუნდმა მოახდინა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?

2). რომელი ფეხბურთელები მოგეწონათ და რატომ?

ელენიო ერერა (წარსულში მწვრთნელი, ამჟამად იტალიის კლუბ „მილანის“ ტექნიკური დირექტორი):

1. წინა მსოფლიო ჩემპიონატმა შექმნა ტოტალური ფეხბურთი, რომლის იდეები ახლაც დამუშავების პროცესშია. არგენტინაში რაიმე ტაქტიკური სიახლეები არ გვინახავს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ფეხბურთი ადგილზე დგას. უბრალოდ კელავ წარმოებს 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის იდეების დახვეწა. ყველაზე მეტი მიღწევები ამ მიმართებით, ჩემი აზრით, აქვთ იტალიისა და ჰოლანდიის გუნდებს. ტურნირის დასაწყისში იტალიელები ისე კარგად თამაშობდნენ, რომ მართალი გითხრათ, მათგან ამდენს არც მოველოდი. შემდეგ გუნდი ფიზიკურად დაიღალა და წაგო მთავარი მატჩები, მაგრამ მესამე ადგილისთვის ბრძოლაც დიდი წარმატებაა.

ყველაზე უფრო მომეწონა ჰოლანდიელები, რომლებიც სხვებზე ახლოს დგანან ტოტალურ ფეხბურთთან. საკმარისად ძლიერი იყო მასპინძელთა გუნდი, რომელიც თავდავიწყებამდე იბრძოდა ყოველ მატჩში. არგენტინელები საუკეთესოდ არიან მომზადებული ფიზიკურად.

2. არგენტინელი თავდამსხმელი კემპესი, რომელსაც გადამწყვეტ მომენტებში შეუძლია გოლების გატანა. ნახევარმცველები ნეესკენსი და ტარდელი, რომელთა ტაქტიკურ სახვრიანობას შეუძლია გარდატეხის შეტანა თამაშის მსვლელობაში.

ალფრედო დი სტეფანო (ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი):

1. მე გამაოცა არგენტინელთა ნაკრების თამაშმა, რომელმაც თითქმის შეუძლებელი შეძლო პერუელებთან მატჩში. ჩემი აზრით, არგენტინელი ფეხბურთელები ახორციელებენ იმას, საითაც ახლა მიემართება მსოფლიო ფეხბურთი. ესაა ათლეტიზმი, შეუნელებელი ბრძოლა მთელი 90 წუთის მანძილზე, მონდომება. ტექნიკური სრულყოფა. სანახაობრიობის თვალსაზრისით არგენტინელები. შეიძლება, ჩამორჩებიან 1974 წლის ჰოლანდიის ნაკრებს, მაგრამ თამაშობენ დიდი აღმავლობით. ცალკეულ მატჩებში მომეწონა ბრაზილიის გუნდი, მაგრამ იგი ძალზე ნელა თამაშობს.

2. მხოლოდ კემპესი, რომელიც არგენტინის ნაკრების მშვენებას წარმოადგენს. იგი გაცილებით უფრო უკეთ და პროფესიულად თამაშობს, ვიდრე ოთხი წლის წინათ გფრ-ში.

ჯეკ ჩარლტონი (ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელი, 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონი):

1. უწინდებურად აღფრთოვანებული ვარ ჰოლანდიის გუნდით, რომელიც კრუიფის გარეშეც ზუსტად აწყობილი მექანიზმია. ჰოლანდიის ნაკრები თანაბარი ძალის მოთამაშეებით დაკომპლექტებული ანსამბლია, მაგრამ ეჭ მაინც გამოირჩევა ნეესკენსი, რომელმაც დიდი ხნის შესვენების შემდეგ ითამაშა ნაკრებში. დასახული მიზნისთვის დიდი ბრძოლისუნარიანობით გამოირჩევიან არგენტინელები. ამ თვისებამ და საუკეთესო ფიზიკურმა მომზადებამ მათ საშუალება მისცა მოეპოვებინათ ჩემპიონობა.

2. განსაკუთრებული ყურადღებით ვადევნებდი თვალს მცველთა თამაშს და, ჩემი აზრით, ისინი ამ ჩემპიონატზე თავდამსხმელებზე უფრო ძლიერად გამოიყურებოდნენ. ბევრი მათგანი, კერძოდ, რიუსმანი (გფრ), სკირეა (იტალია) და პასარელა (არგენტინა) ორგანიზაციასაც უკეთებდნენ იერიშებს და აქტიურადაც მონაწილეობდნენ მათში.

გიუნტერ ნეტცერი (გფრ. 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონი, ამჟამად ცნობილი კლუბის „ჰამბურგის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი).

1. არგენტინის ნაკრებმა გამაოცა უპირველეს ყოვლისა იმით, რომ თამაშობდა ევროპულ ფეხბურთს. ყველა მოთამაშე, მცველებიც კი, განწყობილია საიერიშოდ. გუნდი მობილურია და ჰყავს ორი ექსტრა-კლასის ფორვარდი — კემპესი და ლიუკე. ორივენი ტონს აძლევენ შეტევას და უმცირეს შესაძლებლობასაც იყენებენ გოლის გასატანად.

რაც შეეხება სხვა გუნდებს, ისინი არათანაბრად თამაშობდნენ. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელებმა, ჩემი აზრით, ჩაატარეს მხოლოდ ერთი კარგი მატჩი ჰოლანდიელებთან. ჰოლანდიელებმა თავიანთ მხრივ საუკეთესოდ წარმართეს მეორე ტაიმი იტალიელებთან. იტალიელებმა კარგად დაიწყეს, მაგრამ ცუდად დამთავრეს ჩემპიონატი, ბრაზილიელებმა კი, პირიქით, სტარტი აიღეს სუსტად. მხოლოდ მსოფლიოს ახალმა ჩემპიონებმა ჩაატარეს გათამაშება ჩავარდნების გარეშე.

მთლიანად ფეხბურთის დონე წინა ჩემპიონატთან შედარებით არ ამაღლებულა.

2. კემპესისა და ლიუკეს გარდა მომეწონა ბეტეგა და როსი. ორივე შედეგიანი მოთამაშეა.

ფეხბურთი

26 ივნისს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის:

„ქაირათი“ — „დინამო“ კ. 0:0
„ფახთაკორი“ — „სპარტაკი“ 1:3
„არარატი“ — „დინამო“ მ. 1:4
„ნეფთჩი“ — „ზარია“ 2:1
„ზენიტი“ — „დნეპრი“ 2:2
„ტორპედო“ — „შახტიორი“ 1:2

* * *

გუშინ თბილისის „დინამოს“ XIII ტურის გასვლითი მატჩი ჰქონდა მოსკოვში ცსკა-სთან.

შეხვედრის პირველ ნახევარში არმიელმა კალაპოვსკიმ გახსნა ანგარიში. შესვენების შემდეგ „დინამო“ მთელი ძალით ათამაშდა, რასაც ყოფიანისა და შენგელიას ორი გოლი მოჰყვა. გაიმარჯვეს თბილისელებმა — 2:1.

უმაღლესი ლიგა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა ერთი ხანგამოტოვების შემდეგ

„დინამო“ თბ.	13	8	3	2	16—10	19
„ჩერნომორი“.	13	7	4	2	19—10	18
„შახტიორი“	12	8	1	3	16—9	17
ცსკა	13	7	2	4	16—13	16
„დინამო“ კ.	13	5	6	2	18—8	16
„დინამო“ მ.	12	5	4	3	16—11	14
„ზენიტი“	13	4	6	3	16—17	14
„ტორპედო“	13	4	5	4	15—12	13
„კაირატი“	13	4	4	5	12—16	12
„პახტაკორი“	13	4	3	6	19—18	11
„ზარია“	13	4	3	6	16—16	11
„ნეფთჩი“	13	4	3	6	11—14	11
„ლოკომოტ.“	13	3	5	5	12—17	11
„სპარტაკი“	13	3	2	8	13—22	8
„არარატი“	13	3	2	8	6—20	8
„დნეპრი“	13	2	1	10	9—21	5

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

I ჯგუფი

„დურუჯი“ (ყვარელი) — „ხალხინო“ (გეგეჭკორი) 2:1. მსაჯი ა. პაიჭაძე (ხაშური).

„სპარტაკი“ (თბილისი) — „იბერია“ (ქარელი) 5:0. მსაჯი ბ. ჩერნიახოვსკი (სოხუმი).

პირველ ტაიმში სტუმრების კარში 3 ბურთი გაიტანა ადუაშვილმა. შემდგომში ხუბუჯიშვილმა და თვაურმა ანგარიში აიყვანეს 5:0-მდე.

„მზიური“ (გალი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 1:0. მსაჯი თ. კოკაია (ფოთი).

„მალაროელი“ (ჭიათურა) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 4:1. მსაჯი ლ. ღონღაძე (თბილისი).

ჭიათურელი ოსაძის მიერ მე-3 წუთზე გატანილი ბურთი მე-8 წუთზე გაქვითა ხუსეინაძემ. შემდგომში უპირატესობა მთლიანად „მაღაროელს“ ჰქონდა, რომელმაც კიდევ 3 გოლი გაიტანა (ჯანგავაძე, მაღრაძე, ჭელიძე).

„მეშახტე“ (ტყიბული) — „ივერია“ (ხაშური) 3:0. მსაჯი გ. შავგულიძე (რუსთავი).

სტუმრების კარში 2 ბურთი გაიტანა გ. ბოჭორიშვილმა, 1 — ჯავახაძემ.

„მეტალურგი“ (რუსთავი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 2:0. მსაჯი ა. პაიჭაძე (ხაშური).

მასპინძლებმა უპირატესობის მოპოვება შეძლეს მეორე ტაიმში, როცა ალადაშვილისა და არევაძის დარტყმებმა ზუსტად მიაღწია მიზანს.

„ჩიხურა“ (ხაჩხერე) — ასკ (თბილისი) 1:2. მსაჯი დ. გაგნიძე (თბილისი).

„ნადიკვარი“ (თელავი) — „ხალხინო“ (გეგეჭკორი) 5:1. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

„კოლხეთი“ (ხობი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 4:0. მსაჯი რ. ფანჯარაშვილი (თბილისი).

ხობელმა ქავთარაძემ ამ მატჩში სამჯერ შეძლო მახარაძელთა კარის აღება, ხოლო მეოთხე გოლის ავტორი იყო გვასალია. ყველა ბურთი გატანილ იქნა პირველ ტაიმში.

„კოლხეთი“ (ფოთი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 2:0. მსაჯი გ. სეფიაშვილი (თბილისი).

ანგარიში 11-მეტრიანი დარტყმით გახსნა გუდავაძემ. მეორე ბურთი 35-ე წუთზე გაიტანა ნ. ტყებუჩავამ.

„სჭური“ (წალენჯიხა) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 1:1. მსაჯი კ. დავიდიანი (ბათუმი).

„სპარტაკი“ (ცხინვალი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 2:1. მსაჯი თ. ცერცვაძე (სოხუმი).

სპორტლოტოს ჯილეტები

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 28 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კოლხ.“ ფ.	21	14	4	3	41—12	32
„მზიური“	21	13	5	3	33—15	31
„მეშახტე“	18	13	3	2	32—7	29
„მეტალ.“ რ.	19	12	4	3	30—14	28
„მერცხალი“	20	10	7	3	29—12	27
„მაღარ.“	18	11	2	5	34—23	24
„სპარტ.“ თბ.	22	9	6	7	30—22	24
„ინერგეტ.“	22	9	6	7	29—26	24
„კოლხ.“ ხ.	22	8	8	6	20—20	24
ასკ თბ.	22	7	8	7	25—22	22
„ჩიხურა“	20	8	5	7	23—16	21
„ივერია“ ხ.	22	7	7	8	16—24	21
ფიზკ. ინსტ.	21	9	3	9	25—35	21
პოლ. ინსტ.	23	9	2	12	31—34	20
„სჭური“	23	7	5	11	31—32	19
„ამირანი“	22	7	5	10	17—28	19
„ნადიკვარი“	21	5	8	8	23—27	18
„ხალხინო“	21	5	6	10	21—38	16
„მეტალ.“ ზ.	20	4	6	10	24—28	14
„სპარტ.“ ცხ.	20	4	6	10	20—26	14
„ეგრისი“	22	3	7	12	15—29	13
„დურუჯი“	22	5	2	15	14—37	12
„იბერია“ ჭ.	22	4	3	15	14—46	11

II ჯგუფი

I ზონა

„განახლება“ (ადიგენი) — „გიგანტი“ (გამარჯვება) 5:0, „არაგვი“ (მცხეთა) — „სიონი“ (ბოლნისი) 1:5, „აბული“ (ახალქალაქი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 2:1, „ცისკარი“ (სიღნაღი) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 1:3, „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 1:1.

II ზონა

„ოჯალეში“ (ბაძა) — „შახტიორი“ (ტყვარჩელი) 3:1, „ავტომობილისტი“ (აბაშა) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 2:2, „სენაკი“ (ცხაკაია) — „შუქურა“ (ქობულეთი) 0:1, „ნარუჯა“ (მახარაძე) — „იმერეთი“ (წულუკიძე) 0:2, „მეშაქრე“ (აგარა) — „ჩამომსხმელი“ (ბორჯომი) 2:1. ბათუმის „ავტომობილისტს“ გამარჯვება ჩაეთვალა გაგრის „ავტომობილისტთან“.

სპეციალური დავალება

გეგეჭკორის „ხალხინოს“ მოთამაშემ ჯ. ოდიშარიამ გაფრთხილება მიიღო მსაჯისგან. შემდეგ უტიფარი სიტყვებით მიმართა მას და გაძევებული იქნა მინდვრიდან.

მეორე გაფრთხილება მიიღო მცხეთის „არაგვის“ წევრმა ი. იმერლიშვილმა.

გაფრთხილებული არიან თ. რაზმაძე და გ. კაბულაშვილი (ორივე — „იბერია“, ქარელი), გ. ბაქრაძე და რ. ლაკაია (ორივე — „სუნაკი“, ცხაკაია), მ. ბახტაძე და გ. ბაქრაძე (ორივე — პოლიტექნიკური ინსტიტუტი).

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.

ნახევარფინალური მატჩების წილისყრა

სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოში ახლახანს შედგა სსრ კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩების წილისყრა. მოსკოვის „ლოკომოტივი“ საკუთარ მინდორზე 4 ივლისს შეხვდება დონეცკის „შახტიორს“, ხოლო სააბასუხო მატჩს 18 ივლისს გამართავს დონეცკში. მოსკოვის „ტორპედო“ 5 ივლისს უმასპინძლებს კიევის „დინამოს“, ხოლო 19 ივლისს სააბასუხო მატჩს კიევში ითამაშებს.

ველოსპორტი

მხოლოდ ფოტოფინიშმა მიაკუთვნა გამარჯვება ტაშკენტელ ვ. მაკარინს ველოსპორტში დუბლიორთა მსოფლიო ჩემპიონატზე ჯგუფურ საგზატკეცილო-მრბოლაში. 122 კილომეტრი და 284 მეტრი, რომლიც ვაშინგტონის „როკ-კრიკ-პარკის“ ბილიკებზე გადიოდა, 33 ქვეყნის 134 სპორტსმენი მონაწილეობდა. ასეთივე შედეგით (2:55.10) „ველოსიპედი“ მოიპოვა გდრ-ს ველოსპორტსმენმა ხ. დენშტედტმა. მესამე იყო შვეიცარიელი ტ. ლანდისი, ხოლო მეოთხე — ვილნიუსელი ა. ვაიტკუსი. ახლა საბჭოთა გუნდის ანგარიშზეა სამი ოქროს მედალი. შეკიბრების ბოლო სახეობაა, გუნდური საგზატკეცილო მრბოლა, რომელიც დღეს გაიმართება.

კუიბიშეველმა ს. ნიკიტენკომ მოიგო „იუგოსლავიის ტურის“ მესამე ეტაპი და ველოსრბოლას პირად ჩათვლაში სათავეში მოექცა. იგი 4 წამით უსწრებს მეორე საბჭოთა მრბოლელს ა. პეკუშს. მომდევნო ადგილებზეც საბჭოთა მრბოლელები ს. ჰუსეინოვი და ა. ავერინი არიან.

ლისის ტბის მიდამოებში

მშვენიერი სანახავია ამ დღეებში ლისის ტბის მიდამოები. მოლივლივე წყალს, ცინცხალ მზესა და ჰაერს მონატრებული მრავალი თბილისელი სტუმრობს აქაურობას. მოდიან ინდივიდუალურად, ჯგუფურად, ოჯახებთან ერთად — ისვენებენ, ჯანმრთელობას იკაჟებენ, სულსა და სხეულს ილაღებენ. წითელ პარტიზანთა სახელობის კულტურისა და დასვენების პარკს (დირექტორი მ. ზამბახიძე) ვერც სპორტსმენები, ფიზკულტურელები, ტურისტები და მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებლები ჩაუვლიან გულგრილად — მათთვის აქ მოწყობილია მინი-ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, მძლეოსნური სჭიტორი, სარბენი ბილიკები.

იმ მრავალფეროვან და საინტერესო ღონისძიებებს შორის, რომელსაც პარკის დირექცია დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად ატარებს, ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სპორტულ-მასობრივ საქმიანობას. აქ ხშირად იმართება შეჯიბრებები, სპორტული ზეიმები და დღესასწაულები, რომელშიც დედაქალაქის წარმოებადაწესებულებების მშრომელები, სხვადასხვა სასწავლებლების მოსწავლეები მონაწილეობენ.

ამ დღეებში ლისის ტბას თბილისის საავჭრო კულინარული სასწავლებლის (დირექტორი მ. გურეშიძე, ფიზწრთობის ხელმძღვანელი ი. გალდავა) აღსაზრდელები და პედაგოგები ესტუმრნენ. გაიმართა შეჯიბრებები მშდ კომპლექსის ნორმატივებით გათვალისწინებულ სახეობებში — 100 მეტრზე რბენასა და კროსში, ღერძზე მიზიდვასა და სიგრძეზე ხტომაში. ამ საინტერესო ღონისძიებაში სულ 300-ზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი მონაწილეობდა. ბევრმა მათგანმა წარმატებით ჩააბარა ნორმატივები და მშდ-ის სამკერდე ნიშანი დაიმსახურა. თავი გამოიჩინეს ფ. გოცირიძემ, მ. ჭაბიშვილმა, მ. ოლგესაშვილმა, ზ. ცხადაძემ, ც. ტეტუნაშვილმა, ი. უშვერიძემ და სხვებმა.

ეთერ ბუაძე.

* * *

სურათებზე: უმცროსის ტყორცნის მ. ჭაბიშვილი; შეჯიბრება ღერძზე მიზიდვაში.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

ხელბურთი

უკვე მეორე წელიწადია ტარდება მოზარდთა საკავშირო და რესპუბლიკური ტურნირები მინი-ხელბურთში „მფრინავი ბურთის" პრიზზე.

ამას წინათ თბილისში გაიმართა ქალაქის პირველობა მინი-ხელბურთში ყველაზე პატარებისთვის, 8-10 წლის მოზარდებისთვის. ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღო 200-მდე ბავშვმა. შეჯიბრებაში, რომელიც საინტერესოდ ჩატარდა, როგორც გოგონათა, ისე ჭაბუკთა შორის გაიმარჯვეს ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა ხელბურთის სპეციალიზებული სკოლის გუნდებმა (მწვრთნელები თ. მაცუკაშვილი, თ. ჩხაიძე, ლ. სალომახინა).

უფროსი ასაკის (13-14 წლის) მოზარდები „მფრინავი ბურთის" პრიზებზე ასპარეზობდნენ გურჯაანში (ჭაბუკები) და სამტრედიაში (გოგონები). პირველობა აქაც ოლიმპიური რეზერვის სკოლის წარმომადგენლებმა მოიპოვეს. რესპუბლიკურმა ასპარეზობამ მთელი რიგი პერსპექტიული მოთამაშეები გამოავლინა: თბილისელები ა. ჭულინა, კ. ფაჩუაშვილი, ა. ჯმუხაძე, გ. როგავა, გ. იშხნელი, ბათუმელები გ. მარკაძე, გ. ტუღუში.

სამწუხაროდ, შეჯიბრებაზე არ გამოვიდნენ ბათუმელი და ფოთელი ხელბურთელი გოგონები, ეს მით უფრო საგანგაშოა, რომ აგერ უკვე მესამე წელიწადია რესპუბლიკის ნაკრები გუნდები რესპუბლიკის ქალაქებიდან სათანადო შევსებას ვერ აღებენ.

ახლა მინი-ხელბურთელებს კიდევ ერთი საინტერესო ტურნირი ელით — საკავშირო შეჯიბრება „მფრინავი ბურთის" პრიზზე. გოგონები იასპარეზებენ თბილისში, ხოლო ჭაბუკები — ბაქოში. აღსანიშნავია, რომ ნორჩი ხელბურთელები ერთმანეთს შეეჯიბრებიან, აგრეთვე, მძლეოსნობაში, ბურთის ტარების ტექნიკაში, ხელბურთის ერუდიტთა კონკურსში და ა. შ.

რ. ჰანტურია,
თბილისის ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა ხელბურთის სპეციალიზებული სკოლის უფროსი მწვრთნელი.

წყალბურთი

ვარნის (ბულგარეთი) წყალბურთელთა გუნდების საერთაშორისო ტურნირის მესამე დღეს საბჭოთა გუნდმა მოუგო მასპინძლებს, ბულგარელებს — 9:4. შეჯიბრების ლიდერებმა — რუმინელმა სპორტსმენებმა მოუგეს აშშ-ს გუნდს — 5:2, ხოლო ბერძნებმა — ავსტრალიელებს — 3:2.

ბოლო მატჩში საბჭოთა გუნდი საბერძნეთის ნაკრებს შეხვდა და ფრედ დაამთავრა შეხვედრა — 4:4. ამრიგად, საბჭოთა წყალბურთელებმა ხუთი ქულა დააგროვეს და IV ადგილი დაიკავეს საერთაშორისო ტურნირში. გაიმარჯვა რუმინეთის გუნდმა — 10 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან ბულგარელები და ამერიკელები — 6-6.

კალათბურთი

საბჭოთა არმიელ კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა ბულგარეთის ქალაქ სოფიაში დაამარცხა ადგილობრივი სპორტსმენები (94:85) და პირველი ადგილი დაიკავა მეგობრულ არმიათა ჩემპიონატში.

ფრენბურთი

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, ჩვენი ქვეყნის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდი ამხანაგური მატჩების სერიას მართავს იაპონიაში. საბჭოთა ფრენბურთელებმა კიდევ ორი შეხვედრა ჩაატარეს ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებთან და ორივეჯერ ერთნაირი ანგარიშით — 3:1 გაიმარჯვეს.

ამოცანა სოფიის ველოდრომზე

სოფია. მსოფლიოს დედაქალაქებში სოფია სპორტული ნაგებობების მხრივ, ერთ-ერთი საუკეთესოა. აქვთ 12 სტადიონი სარბენი ბილიკებით, 62 ფეხბურთის მინდორი, 5 მძლეოსნური დარბაზი, 4 დახურული და 7 ღია საცურაო აუზი, ფრენბურთის 160 და კალათბურთის 139 მოედანი. (საკდესი).

ი. გ. კოტორაშვილი

ფალავანების ქალაქად წოდებულ ხაშურში — ეროვნული ჭიდაობის დიდებულ ტრადიციების რაიონის სოფელ გლდანს. ქართული ჭიდაობის ბევრი ამაგდარი მოუცია ამ სახელოვან სოფელს და ხალხმა აკი ამ რჩეულთა ხსოვნა ფსევდონიმებით შემოინახა. კულა გლდანელიდან დაწყებული მრავალი მოჭიდავის სახელს ამ მეტსახელით იცნობენ. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნებიან ორი ვანო გლდანელი, ერთი ძველი თაობის შესანიშნავი წარმომადგენელი — ივანე წამალაშვილი, ხოლო მეორე — ახლახანს გარდაცვლილი ივანე გიორგის ძე კოტორაშვილი. იგი 1920 წელს დაიბადა. ფეხის ადგმისთანავე სპორტის საყვარელ სახეობას შეალია ძალა და ენერგია. მას იცნობდნენ თიანეთში, საგარეჯოში, თბილისის გარეუბნის სპორტულ ზეიმებსა და შერკინებებს ხშირად დაამშვენებდა ხოლმე ვანო კოტორაშვილის გამოსვლა. 19 წლის ჭაბუკმა პირველად მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა და მას მერე არაერთგზის უსახელებია თავი. მიუხედავად იმისა, რომ ავადმყოფობამ დარია ხელი, მაინც მხნედ და გატაცებით ემსახურებოდა ქართული ჭიდაობის განვითარების საქმეს. 1946 წლიდან გარეუბნის ფიზკულტურის კომიტეტის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი იყო და მრავალი პერსპექტიული სპორტსმენი გამოზარდა. 1951 წლიდან დაწყებული „კოლმეურნეს" რაისაბჭოს თავმჯდომარედ მუშაობდა. ამ ხნის მანძილზე საზოგადოებამ 150-ზე მეტი სიგელი, 6 თასი და მრავალი ვიმპელი მოიპოვა. მისი აღზრდილები არიან ცნობილი ფალავნები ზ. მუსიაშვილი, ნ. ოდიშვილი, თ. მიდელაური, ნ. ყირიმელი, კ. გიორგობიანი და მრავალი სხვა.

ივანე გლდანელი-კოტორაშვილი ეროვნული ჭიდაობის სინონიმად გადაიქცა და ამიტომაც მისი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება სპორტის ამ ვაჟკაცური სახეობის პატივისმცემელთა გულში.

„კოლმეურნეს" ცენტრალური საბჭო ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაცია.

ფეხბურთი

ჩეხოსლოვაკია

25 ტურის შემდეგ ჩემპიონატს 2 ლიდერი ჰყავს: 35-35 ქულა მოაგროვეს ბრნოს „ზბროიოვკამ" და პრაღის „დუკლამ". განვლილ ტურში „ზბროიოვკა" პრეშოვში „ტატრანთან" ფრეს დასჯერდა — 2:2, პრაღის „დუკლამ" კი საკუთარ მინდორზე ანგარიშით 2:0 სძლია ბრატისლავის „ინტერს".

ჩემპიონატის დამთავრებამდე 5 ტურით ადრე ფაქტიურად მხოლოდ ეს ორი გუნდი აგრძელებს პირველი ადგილისთვის ბრძოლას. მესამე ადგილზე მყოფ კოშიცეს „ლოკომოტივს" 31 ქულა აქვს, პრაღის „სლავიას" — 27.

გულგარეთი

27-ე ტურში სოფიის „ლოკომოტივმა" ფრედ ითამაშა პლოვდივში „თრაკიასთან" — 0:0. ამასობაში პირველი ადგილის სხვა პრეტენდენტი სოფიის ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამე" ბურგასში დამარცხდა (1:2) ადგილობრივ „ჩერნომორეცთან" და „ლოკომოტივს" 1 ქულით ჩამორჩა.

ახლა სოფიის „ლოკომოტივს" 38 ქულა აქვს, ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამეს" — 37. მესამე ადგილზეა შარშანდელი ჩემპიონი და თასის მფლობელი „ლევსკი-სპარტაკი" (სოფია) — 34 ქულა. ჩემპიონატის დამთავრებამდე 3 ტური დარჩა.

იუგოსლავია

ჩემპიონის წოდება შეჯიბრების დამთავრებამდე რამდენიმე ტურით ადრე გაანაღდა ბელგრადის „პარტიზანმა", რომელიც ამ ტურნირში ძლიერად და თანაბრად თამაშობდა. გუნდს ფინიშზე უკვე აღარ სჭირდება მოგებები და მისი ხელმძღვანელობაც ძირითადად ახალგაზრდებს სცდილობს.

34 ტურის შემდეგ „პარტიზანმა" 53 ქულა მოაგროვა (მას ერთი შეხვედრა გამოტოვებული აქვს). 49 ქულით დაამთავრა შეჯიბრება II ადგილზე მყოფმა „ცრვენა ზვეზდამ". სპლიტის „ჰაიდუკი" 39 ქულით მესამეა, ზაგრების „დინამო" 37 ქულით — მეოთხე.

შვეიცარია

ჩემპიონობის 6 პრეტენდენტის ტურნირში 10 ტურის შემდეგ ყველაზე უკეთესი მდგომარეობა აქვს ციურიხის „გრასჰოპერსს" (29 ქულა). განვლილ ტურში მან მეტად მნიშვნელოვანი მატჩი მოუგო შარშანდელ ჩემპიონს „ბაზელს" — 4:2.

ჟენევის „სერვეტმა" 28 ქულა მოაგროვა, „ბაზელსა" — 27, „ლოზანა სპორტმა" — 26.

პორტუგალია

პირველობა 51-51 ქულით დასრულეს „ფრ პორტომ" და შარშანდელმა ჩემპიონმა — „ბენფიკამ" (ლისაბონი). ჩემპიონობის ბედი გადაწყვიტა ბურთების სხვაობამ. იგი „პორტოს" უკეთესი აღმოაჩნდა: 81—21, „ბენფიკას": 56—11.

ძალზე ჩამორჩა III ადგილზე გამოსული „სპორტინგი" (ლისაბონი) — 42 ქულა.

საბერძნეთი

ქვეყნის ჩემპიონატი დასრულდა ათენის აეკ-ის დამაჯერებელი გამარჯვებით. მან 34 მატჩში 53 ქულა მოაგროვა (ბურთები 74—27) და 7 ქულით ჩამოიტოვა საბერძნეთის ექს-ჩემპიონი პაოკ-ი (სალონიკი). საბერძნეთის ახალ ჩემპიონს წვრთნის ცნობილი იუგოსლავიელი სპეციალისტი ჩაიკოვსკი.

45 ქულით III ადგილზეა პირეოსის „ოლიმპიაკოსი".

ჩოგბურთი, ჭადრაკი, ნიჩბოსნობა

მძლეოსნობა

დასავლეთ გერმანიის ქალაქ სტრასბურგში გერ-ისა და საფრანგეთის მძლეოსანთა მატჩში მასპინძელმა მ. ვაისინგმა შუბი 90,34 მეტრზე ტყორცნა. ასე შორს წლეულს არავის უსვრია შუბი. ვაისინგის თანამემამულე 19 წლის ვ. ხარტმანმა ბადრო 63,64 მეტრზე ტყორცნა. ამით ჭაბუკმა დასავლეთ გერმანელმა მძლეოსანმა იუნიორთა მსოფლიო მიღწევა დაამყარა.

მექსიკაში დამთავრდა იუნიორ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც ბრაზილიის, გვატემალის, სსრ კავშირის, კუბის, აშშ-ის, ესპანეთის, კოსტა-რიკის, პერუსა და სხვა ქვეყნების სპორტსმენები ახარეზობდნენ. კარგად გამოვიდნენ საბჭოთა მძლეოსნები. 17 წლის პიარნუელი სილვა ოია, 19 წლის მოსკოველი ი. ნიკულინი და მისი თანატოლი დონეცკელი ვ. სპასოვი საუკეთესონი იყვნენ თავიანთ სახეობებში. ოიამ გაიმარჯვა ორ სახეობაში სიმაღლეზე ხტომაში. (184 სმ) და 100 მეტრზე რბენაში (13,55), ნიკულინმა ყველაზე შორს ტყორცნა ჯრო 65,13 მ, ხოლო ევროპის შარშანდელმა ჩემპიონმა სპასოვმა ჩოკით ხტომაში 503 სმ აჩვენა.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99 56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93 97-57; მოსწავლე ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26, სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-98-81; ფოტოლაბორატორია — 93 97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე-07011